28.02.2013

ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, იანვარი 2013

წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2013 წლის იანვარში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 2,3 პროცენტით, ხოლო 2012 წლის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 6,1 პროცენტი შეადგინა.

2012 წლის იანვრიდან საქსტატი ყოველთვიურად აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებებს, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს საერთაშორისოდ მიღებულ პრაქტიკას, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმ სფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არ მოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინა პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. შესაბამისად, რეალური კვარტალური გაანგარიშებები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებისგან.

გარდა ამისა, ყოველთვიურად შესაძლებელია მოხდეს წინა თვეების დღგ-ის გადამხდელი საწარმოების ბრუნვების კორექტირება, რაც, შესაბამისად, რეალური ზრდის ყოველთვიური წინასწარი შეფასების მონაცემის კორექტირებასაც იწვევს.



ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკა

იანვარი 2013

ფასების სტატისტიკის მაჩვენებლები

	წინა წლის შესაბამის თვესთან	წინა თვესთან
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	98,4	100,3
სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი	101,9	98,3

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლები 2013 წ. იანვარი

	მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება % (წინა წლის შესაბამის პერიოდთან)
საქონლის ექსპორტი (FOB)	196,3	25,2
საქონლის იმპორტი (CIF)	468,4	-6,5
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	664,7	1,1



www.geostat.ge, info@geostat.ge

სამეწარმეო სფეროს სტატისტიკის მაჩვენებლები

	იანვარი
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	3 418
ახლადრეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	-21,8
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა (მლნ. ლარი)	3 026,0
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებებისას გამოყენებული დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდა წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)	2,5



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

შენიშვნა: მაჩვენებლები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას.